ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №218

ქ. დმანისი **14 დეკემბერი, 2015 წელი**

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგეგელის გოგი ბარბაქაძის სახით და მეორეს მხრივ სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" (შემდგომში "მიმწოდებელი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შეასბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულება შემსყიდველს მიწოდოს საქონელი (CPV -79800000):

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	ჟურნალი №7	ცალი	1	18	18
2	ჟურნალი №14	ცალი	1	20	20
3	ჟურნალი №16	ცალი	1	20	20
4	ჟურნალი №18	ცალი	1	22	22
5	ჟურნალი №22	ცალი	1	22	22
6	ჟურნალი №29	ცალი	1	22	22
7	ჟურნალი №31	ცალი	1	18	18
	სულ ჯამი				142

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 142 (ას ორმოცდა ორი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;

- მიწოდებული საქონლის მოცულობა;

- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია *გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში-ეკა ციხელაშვილი.*

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობის. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს *გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში-ეკა ციხელაშვილი.*

ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.1. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში №GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ მის.: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.#5 საიდენტიფიკაცო კოდი: 202886172 საბანკო რეკვიზიტები: სს „რესპუბლიკა ბანკი“ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის ნომერი: GE16BR0000010277880250 ტელ.: 295-48-18; 295-36-41

დმანისის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

_____ **გოგი ბარბაქაძე**

ვასილ მენთეშაშვილი
დირექტორი

_____ **ვასილ მენთეშაშვილი**

მიღება - ჩაბარება

16 დეკემბერი 2015 წელი

ქ. დმანისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში-ეკა ციხელაშვილის სახით და მეორეს მხრივ სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" წარმომადგენლის ვასილ მენთეშაშვილის სახით წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს ვადგენთ მასზედ, რომ პირველმა მხარემ მიიღო 2015 წლის 14 დეკემბრის ხელშეკრულება №218-ით გათვალისწინებული საქონელი თანხით 142 ლარის ღირებულების, ხოლო მეორე მხარემ ჩააბარა ცხრილის შესაბამისად.

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	ჟურნალი №7	ცალი	1	18	18
2	ჟურნალი №14	ცალი	1	20	20
3	ჟურნალი №16	ცალი	1	20	20
4	ჟურნალი №18	ცალი	1	22	22
5	ჟურნალი №22	ცალი	1	22	22
6	ჟურნალი №29	ცალი	1	18	18
7	ჟურნალი №31	ცალი	1	18	18
სულ ჯამი					142

წინამდებარე მიღება - ჩაბარების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, თითოეული მხარისათვის. ასევე, აღიარებენ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის სინამდვილეს და ადასტურებენ საკუთარი ხელისმოწერით:

მიიღო

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში-ეკა ციხელაშვილი

ეკა ციხელაშვილი

ჩააბარა

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი"

დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წესის ბრძანებით

გადაგზავნილი

1	ეა-04 7578902

3	დეკემბერი	2015

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	16	დეკემბერი	2015

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 **გამყიდველი**

5.1	2	0	2	8	8	6	1	7	2		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 **მყიდველი**

6.1	2	2	8	9	2	8	3	9	1		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	დმანისის მუნიციპალიტეტი

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ჟურნალი N 7	ცალი	1.0000	18.0000	2.7500	0.0000
ჟურნალი N 16	ცალი	1.0000	20.0000	3.0500	0.0000
ჟურნალი N 22	ცალი	1.0000	22.0000	3.3600	0.0000
ჟურნალი N18	ცალი	1.0000	22.0000	3.3600	0.0000
ჟურნალი N 29	ცალი	1.0000	22.0000	3.3600	0.0000
ჟურნალი N 31	ცალი	1.0000	18.0000	2.7500	0.0000
ჟურნალი N 14	ცალი	1.0000	20.0000	3.0500	0.0000
		სულ	142	21.68	0

7	0212222908	8	16 - დეკემბერი - 2015 01:19

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ ბ.ა.